წინადადების ტიპები 3-4 წლის ასაკის ბავშვებში

ქრისტინე კუცია

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტზე კომუნიკაციის, ენისა და მეტყველების თერაპიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

კომუნიკაციის, ენისა და მეტყველების თერაპიის სამაგისტრო პროგრამა

ხელმძღვანელი: ნინო ცინცაძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2023

აბსტრაქტი

ნაშრომის მიზანს წარმოადგენს 3-4 წლის ასაკის ბავშვის მეტყველებისას წინადადების ტიპების შესწავლა, როგორც წინადადების მოდალობის ასევე მისი აგებულების მიხედვით. ნაშრომში მიმოხილულია ენა და ენის მახასიათებლები, ბავშვის მტყველების მორფოლოგიური განვითარება საკვლევი ასაკის თვეების მიხედვით. მოცემული კვლევის ფარგლებში მოხდა 3-4 წლის ორი ბავშვის ნარატივის ანალიზი, ნარატივი გაკეთებულია 2-3-4 თვიანი შუალედებით, თითოეული ნარატივი შექმნილია ერთსაათიანი ვიდეოს საფუძველზე, რომელიც ჩაწერილია ოჯახის წევრებთან კომუნიკაციის დროს ბუნებრივ გარემოში. კვლევას აქვს აღწერითი ხასიათი, ასევე წარმოდგენილია წინადადების ტიპების სიხშირე და მათი პროცენტული მაჩვენებელი. კვლევის შედეგების მიხედვით ამ ასაკის ბავშვების მეტყველება ძირითადად შედგება თხრობითი წინადადებებისაგან, შემდეგ მოდის კითხვითი, ბრძანებითი და ძახილის წინადადება. თხრობით წინადადებებში კი მნიშვნელოვან ადგილს იკავებს მარტივი წინადადებები. მარტივი წინადადებების ქვე კატეგორიებიდან კი მონაწილეები ყველაზე ხშირად იყენებდნენ უსრულ გაუვრცობელ წინადადებებს. ასაკის მატებასთან ერთად იზრდება შერწყმული და რთული წინადადებების რაოდენობა. მარტივი წინადადებების შემდეგ სიხშირით ყველაზე მეტი გამოვლინდა რთული და შემდეგ შერწყმული წინადადება.

Abstract

The aim of the research is to find out the types of the sentences in 3-4 years old child's speech according to modality and structure. The paper reviews the language and its characteristics, morphological development of child's speech according to the study age. Within this research two 3-4 years old children's narratives were analyzed. The narratives were made with 2-3-4 months intervals based on one-hour videos recorded in natural environment. The research is descriptive and there are also given the frequency and percentage of types of sentences. According to the result the speech of children of this age mainly consists of declarative sentence and then interrogative, imperative and exclamative sentence. Simple type of sentences takes an important place in declarative sentences. The number of compound and complex sentences increases with age. After the simple sentence the most frequent sentence was the complex and then the combined sentence.